პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

27 დეკემბერი, შაბათი, 1986 წ.
№ 247 (9408) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# ორი ძნელი გამარჯვება



თბილისი. სპორტის სასახლე. 24 დეკემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — რტი (მინსკი) 88:86 (46:45).

„დინამო“: დარსაძე (29) სანაძე (20), ტიუბინი (17), კაპუსტინი (10), ოპოშნიანი (6), ბოროდაჩოვი (6).

რტი: დემკო (16), იაკუბენკო (14), სლანევსკი (13), პარფიანოვიჩი (8), კრიშჩიკი (8), ჟელუდოკი (7), სატიროვი (7), გრიშჩუკი (6), პუსტოგვარი (4), ჟოლნეროვიჩი (3), ბუზლიაკოვი.

მსაჯები: ვ. სუურკასკი (ტალინი) და ტ. ჰასანოვი (ბაქო).

თბილისი. სპორტის სასახლე. 25 დეკემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „სტროიტელი“ (კიევი) 79:76 (35:42).

„დინამო“: დარსაძე (20), კაპუსტინი (17), ოპოშნიანი (17), სანაძე (10), ტიუბინი (9), ფერიაშვილი (5), ბოროდაჩოვი (1), ტალაბაძე, გიორგობიანი.

„სტროიტელი“: რიჟოვი (30), სილვესტროვი (16), ბონდარენკო (12), ვოროტნიუკი (5), ხომენკო (4), კოხენკო (3), რეზცოვი (2), კოჟელიანკო (2), პოდკოვიროვი (2), კოლეჟუკი, შაპტალა.

მსაჯები: ვ. სუურკასკი (ტალინი) და რ. ხალმუხამედოვი (ტაშკენტი).

**ოთხშაბათსა** და ხუთშაბათს თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდმა ორი შეხვედრა ჩაატარა და ორივეში გაიმარჯვა: ჯერ მინსკის რტი დაამარცხა — 88:86, ხოლო შემდეგ კიევის „სტროიტელს“ სძლია — 79:76. ამ შეხვედრათა ანგარიში თავისთავად მიგვანიშნებს ბრძოლის დაძაბულობაზე, მის უკომპრომისო ხასიათზე. ღირსეულ მეტოქესთან თანაბარ, ვაჟკაცურ ასპარეზობაში გამარჯვება საპატიოც არის და განსაკუთრებით სასიამოვნოც. სწორედ ასეთ წარმატებათა რიცხვს განეკუთვნება თბილისის „დინამოს“ ორივე გამარჯვება, მაგრამ მინდა გამოვთქვა ერთი მოსაზრება, რომელსაც, ვფიქრობ, ბევრი გაიზიარებს: თბილისელები ასე უიმედოდ რომ არ აგებდნენ ფარქვეშ ბრძოლას, ორივე შეხვედრაში უფრო მშვიდად და დამაჯერებლად მიაღწევდნენ სასურველ შედეგს. ფარიდან ასხლეტილი ბურთისთვის ბრძოლა დიდი ხანია დინამოელთა აქილევსის ქუსლად ითვლება, ამ ყველასთვის კარგად ცნობილ სატკივარზე ხაზგასმით ლაპარაკი ახლა იქნებ არცაა მიზანშეწონილი, მაგრამ საანგარიშო მატჩებში თბილისელები კალათბურთის ამ ძალიან მნიშვნელოვან კომპონენტში იმდენად სუსტად გამოიყურებოდნენ, რომ ეს დილეტანტისთვისაც კი აშკარა იყო. სწორედ ამიტომ არ შეიძლება ამაზე თვალის დახუჭვა...

თბილისელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი შესაშური მონდომებით, მაღალი ბრძოლისუნარიანობით, გუნდის ლიდერთა ოსტატობითა და თავდადებით ახერხებენ ფარქვეშ სუსტი თამაშის კომპენსაციას (დიახ, მხოლოდ თავდადება შეიძლება ვუწოდოთ იმას, რომ რტი-სთან შეხვედრაში 40 წუთის მანძილზე ბრძოლის მთელი სიმძიმე ექვს კაცს აწვა მხრებზე და მათგან სამი უცვლელად თამაშობდა). საგულისხმოა ისიც, რომ მასპინძელთაგან ორივე მატჩში ყველაზე შედეგიანი მცელი გელა დარსაძე იყო (29 და 20 ქულა). სწორედ დარსაძე, სანაძე, ტიუბინი და კაპუსტინი განსაზღვრავენ დღევანდელი „დინამოს“ სახეს, მათზეა დამოკიდებული გა-

იხ. მე-3 გვ.

ს უ რ ა თ ზ ე: მეტოქის ფარს უტევს ანდრეი ტიუბინი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

# თასით დაგვირგვინდა

ტურნირის ექო



ნინო გელაშვილი (მარცხნივ) და ლელა მამიაური.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

**როგორც ვიუწყებოდით, სვერდლოვსკში გამართული სინქრონული ცურვის ოსტატთა საკავშირო თასის გათამაშებაში, წყვილთა გამოსვლაში, ყველას აჯობეს თბილისელებმა ნინო გელაშვილმა და ლელა მამიაურმა, ახლა კი, დაპირებისამებრ, ვრცლად მოგითხრობთ მათი გამოსვლის შესახებ.**

**როცა** სვერდლოვსკში გამართული სინქრონული ცურვის ოსტატთა საკავშირო თასის გათამაშებიდან ცნობა მივიღეთ, თბილისელმა ლელა მამიაურმა ეგრეთწოდებულ „სკოლაში“ საუკეთესო შედეგი აჩვენაო, იმედი მოგვეცა, რომ იგი პრიზიორად დაგვიბრუნდებოდა. მაინც, რამ მოგვცა ამის საფუძველი? ჯერ ერთი იმან, რომ მისმა მეწყვილე ნინო გელაშვილმა „სკოლაში“ მეოთხე ადგილი დაიკავა, მეორეც — ნებისმიერი პროგრამით ასპარეზობის საბოლოო შედეგზე მუდამ დიდ გავლენას ახდენს „სკოლის“ მაჩვენებელი. ამ ზაფხულს კიევში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე ლელამ და ნინომ „სკოლაში“ შესაბამისად IX და XXXIII ადგილები დაიკავეს, წყვილთა გამოსვლაში კი ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

როგორც იცით, იმედი გაგვიმართლდა, ახლა წყვილთა გამოსვლაში ყველას აჯობეს ლელა მამიაურმა და ნინო გელაშვილმა.

— რა თქმა უნდა, მეამაყება ის, რომ გოგონებმა საკავშირო თასის გათამაშებაში გაიმარჯვეს, — გვითხრა მათმა მწვრთნელმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრ-

იხ. მე-3 გვ.

# წარმოგიდგენთ კანდიდატებს

წლის საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი

## ვლადიმერ მესტვირიშვილი



**საქართველოს** თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა ბოლო წლებში თვალსაჩინო გამარჯვებები მოიპოვეს. შარშან, მაგალითად ჩვენმა ფალავნებმა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებიდან სხვადასხვა ხარისხის 36 მედალი ჩამოიტანეს, ათწლიანი „ანტრაქტის“ შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ჩვენი რესპუბლიკის ორი ათლეტი — დავით გობეჯიშვილი და ლერი ხაბელოვი. მართალია, ამ მოჭიდავეებმა წლევანდელ სეზონში წარმატების გამეორება ვერ შეძლეს, მაგრამ საკავშირო ასპარეზობებში ბადალი არ ჰყავდათ. საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე ხაბელოვთან და გობეჯიშვილთან ერთად ოქროს მედალი დაისაკუთრა ავთანდილ გოგოლიშვილმა, ვერცხლის ჯილდო მიიღო ზაზა თურმანიძემ, მოგვიმრავლდნენ ახალგაზრდულ ტურნირებში გამარჯვებულებიც.

თავისუფალი ჭიდაობის ქართული სკოლის ბოლოდროინდელი წარმატებები, უწინარეს ყოვლისა, ვლადიმერ მესტვირიშვილის სახელთან არის დაკავშირებული. მასზე ამბობენ საქმეზე გადაგებული კაციაო. მართლაც, დილიდან საღამომდე საჭიდაო დარბაზში ტრიალებს, ვარჯიშს უმიზეზოდ როგორ გააცდენს, აღსაზრდელებისაგანაც ამას ითხოვს, რადგან კარგად იცის, რომ მხოლოდ დაუღალავ შრომას, ყოველდღიურ მონდომებას მოაქვს დიდი გამარჯვებები.

ვლადიმერ მესტვირიშვილი ახალგაზრდა კაცია, 13-14 წელია მწვრთნელად მუშაობს, ბოლო ოთხი წელი საქართველოს ნაკრებს უდგას სათავეში. ვიდრე ამ საპასუხისმგებლო პოსტზე მოვიდოდა, სპორტსაზოგადოება „შრომით რეზერვებში“ მუშაობდა რიგით მწვრთნელად. შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს ნაკრების ძირითად ბირთვს სწორედ ამ სპორტსაზოგადოების მოჭიდავეები შეადგენენ. ვლადიმერ მესტვირი-

იხ. მე-3 გვ.

ლელო



ჩვენი გაზეთის საგუშაგო ლანჩხუთში

შაბათიდან — შაბათამდე

# ემზადებიან...

**იმ მრავალრიცხოვან კომპლექსურ სამუშაოთა შორის, ამჟამად ლანჩხუთში რომ ტარდება ახალი საფეხბურთო სეზონის შესახვედრად, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მთავარი ობიექტი — სტადიონი. „ლელოს“ საგუშაგოს პირველი წერილიც მას ეძღვნება.**

**ახლა** ლანჩხუთშიც ცივა, წვიმას დროდადრო ძლიერი ქარი ცვლის. ერთი სიტყვით, მშენებლობისათვის არცთუ სახარბიელო ამინდია, მაგრამ სტადიონზე წუთითაც არ ნელდება შრომის დაძაბული რიტმი.

ამჟამად ტრიბუნაზე აგრომშენის ცხაკაიას № 2 სამშენებლო ტრესტი სკამებს ცვლის, მთავრდება საყრდენების დადგმა ჩრდილოეთის ტრიბუნებისათვის.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს აღმოსავლეთის ტრიბუნები, სადაც 24 დეკემბერს დაიწყეს საძირკვლის გაჭრა. აქ ერთდროულად სამი ორგანიზაციის წარმომადგენლები მუშაობენ, — საქჰიდროელექტრომშენის ჯვარის საგზაო-სამშენებლო და მშენებლობის სამინისტროს № 10 ტრესტის ლანჩხუთის № 2 სამმართველოების, ტრესტ „კოლხიდმშენის“ ლანჩხუთის № 3 მოძრავ-მექანიზებული კოლონის შრომითი რაზმების მონდომებაზეა დამოკიდებული, როდის შეუდგება საქმთავარსპეცმონტაჟმშენი რკინის კონსტრუქციების დამონტაჟებას.

ერთსულოვანი აზრით, შესანიშნავად მუშაობს თბილგვირაბმშენის სოხუმის სამშენებლო რაზმი, რომელიც განათების კოშკურებისთვის საძირკველს ამზადებს.

ერთი სიტყვით, აქ ყველა მონდომებულია დროულად და ხარისხიანად შეასრულოს მინდობილი საქმე. გენმოიჯარე — აგრომშენის № 8 ტრესტის ლანჩხუთის № 70 მოძრავ-მექანიზებული კოლონის ხელმძღვანელობა — ცდილობს დაბრკოლებები არ შეუქმნას ქვემოიჯარეებს, მაგრამ რამდენიმე კოლექტივი სამუშაოებს ვერ იწყებს მუშანახაზების უქონლობის გამო. მართალია, საქსპორტპროექტის კოლექტივი (დირექტორი დ. იაკობაშვილი) და პირადად პროექტის ავტორი კ. ჩიჩელაშვილი ყველაფერს აკეთებენ, რომ დროულად დაამთავრონ სამუშაოები. იმედია, კოლექტივი გამონახავს რეზერვებს, რომ უფრო ოპერატიულად მიაწოდოს მშენებლებს ასე საჭირო მუშანახაზები.

ახლა სტადიონზე მიწის სამუშაოები მიმდინარეობს, მაგრამ თვითმცლელ მანქანებს საწვავის უქმარობა აფერხებს.

მიმდინარეობს ტერიტორიის შემოღობვა, მისასვლელი გზების გაფართოება. ლანჩხუთში ახლა ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენლებს შეხვდებით. მასპინძლებიც ცდილობენ ყველა პირობა შეუქმნან დასახმარებლად ჩამოსულ მშენებლებს.

**თამაზ ხარაბაძე.**
**(„ლელოს“ სპეც. კორ.).**

ლანჩხუთი.

მკითხველი— გაზეთი

**ძვირფასო რედაქცია!**

როგორც ცნობილია, ლანჩხუთის „გურიის“ ფეხბურთელთა გუნდს რამდენიმე წელია სათავეში ედგა უფროსი მწვრთნელი ბეგი სიხარულიძე. გთხოვთ გვიპასუხოთ, რა გახდა იმის მიზეზი, რომ მწვრთნელი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა ამ კოლექტივის ინტერესებისათვის, შეიცვალა?

**ნ. მჭედლიძე (თბილისი), ა. სარალიძე (რუსთავი), თ. ედილაშვილი (ქარელი).**

**მართლაც, რატომ ეყოლება ლანჩხუთის „გურიას“ უმაღლეს ლიგაში ახალი მწვრთნელი? გუნდში მწვრთნელის შეცვლის საკითხი არავის დაუყენებია, თავად ბეგი სიხარულიძის გარდა, მას სთხოვეს კვლავ განეგრძო უფროსი მწვრთნელის პოსტზე მუშაობა, მაგრამ უარი განაცხადა. რატომ? ამ კითხვაზე თავად ბეგი სიხარულიძემ გასცა პასუხი რესპუბლიკის სპორტსახკომის ხელმძღვანელობასთან გუნდის შეხვედრის დროს. ამ შეხვედრას ჩვენი გაზეთის წარმომადგენელიც ესწრებოდა. „მე რეალურად ვაფასებ ვითარებას — თქვა ბეგი სიხარულიძემ. — ჩემი გამოცდილება საკმარისი არ იქნება გუნდის ხელმძღვანელობისთვის უმაღლეს ლიგაში. მე მზად ვარ უფრო გამოცდილ უფროს მწვრთნელთან ერთად, როგორც მეორე მწვრთნელი, კვლავაც მხარში ამოვუდგე კოლექტივს, შემდეგ კი, როცა გამოცდილებას შევიძენ, ვნახოთ“.**

**„გურია“ მალე დაბრუნდება სარიიდან. ჩვენი კორესპონდენტი შეხვდება ბეგი სიხარულიძეს და მას მკითხველებს წარუდგენს რუბრიკით „წლის საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი“.**

### გულშემატკივრის კუთხე

**გოგი** ხუციშვილის სურათების გამოფენაზე ორჯერ ვიყავი. გამოგიტყდებით, თითქმის ვერაფერი დავათვალიერე, რადგან დარბაზში უამრავი ხალხი იყო. ავდექი და მესამედ წავედი, ახლა მეტი დრო მქონდა, თანაც ვიფიქრე: აქედან სულ რამდენიმე ნაბიჯზე (ხუციშვილის ნახატები მხატვრის სახლშია გამოფენილი), ხელოვნების მუზეუმში ჰამერის უმდიდრესი კოლექციის ნიმუშებს უჩვენებენ, იქნებ მხატვრის სახლს მნახველი მოაკლდა მეთქი, მაგრამ მოვტყუვდი, იმდენი ხალხი დამხვდა, უკატალოგოდ დავრჩი (ადრე შეძენილი მეგობარმა „წამართვა“). დიახ, ისეთ მხატვარს, როგორიც გოგი ხუციშვილია, კორიფეების არ ეშინია, რადგან ჭეშმარიტ მცოდნეს კლასიკაც ხიბლავს და თანამედროვე მხატვრობაც.

**⊙ ბატონო გოგი! მე გამაოცა თქვენი სურათების სიმრავლემ — როდის ხატავთ ამდენს, თქვენ ხომ უნივერსიტეტში ლექციები გაქვთ, წერთ მიმოხილვებს, რეცენზიებს...**

— ვატყობ, თქვენ ჩემი ფიზიკური გამძლეობა გაკვირვებთ... არაფერია განსაკუთრებული, დიახ, ყოველდღე ვხატავ, რადგან უამისოდ არ შემიძლია.

**⊙ ასეთი „დღის რეჟიმის“ დაცვას, ალბათ, სპორტული წრთობა გიადვილებთ.**

— სპორტი ოჯახში ყველას გვიყვარს. ჩემი სამივე შვილი სპორტს მისდევს. ნინო სპორტის ოსტატია მხატვრულ ტანვარჯიშში, ჩვენს სახელოვან მწვრთნელ ნელი სალაძესთან ვარჯიშობს. იგი „დინამოს“ საკავშირო პირველობისა და რესპუბლიკის 1986 წლის უნივერსიადის ჩემპიონია. ქეთევანი მოფარიკავეა. გიორგი რეგბისტია. ჩემი მეუღლე ლია კარგა ხანს არჩილ კონსტანტინოვთან ვარჯიშობდა, საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების წევრი იყო.

**⊙ თქვენ თვითონ?**

— ბავშვობაში ცურვა მიტაცებდა, მაგრამ... ცურვა არ ვიცოდი, ერთხელაც გამბედაობა მოვიკრიბე და მეზობლის ბიჭებს ლუკა იოაკიმიდისთან გავყევი. „ცურვა იცი?“, „ვიცი“. როცა მწვრთნელმა წყლისკენ მიმითითა, თქვენ წარმოიდგინეთ, უკან არ დამიხევია და... პატივცემულ ლუკას ტანისამოსიანად მოუხდა წყალში ჩამოხტომა. ჯგუფში მაინც ჩამრიცხა — გაბედული ყმაწვილი ყოფილაო. ნელ-ნელა პირველ თანრიგამდეც მივედი. კრივშიც პირველი თანრიგი მქონდა — გურგენ გასპარიანი მავარჯიშებდა, ცნობილი მწვრთნელი. თქვენ კიდევ გიკვირთ, მეუბნებით ამდენი სურათი რამ დაგახატვინაო.

**⊙ სპორტულ თემაზე თუ შეგიქმნიათ რაიმე?**

— პიონერთა სასახლის ნორჩ მხატვართა წრეში ზაქარია კრაწაშვილის ხელმძღვანელობით ვმეცადინეობდი. მახსოვს, მოსწავლეთა საკავშირო კონკურსზე ქანდაკება „შუბის მტყორცნელი“ გავგზავნე და პირველი ჯილდო მოვიპოვე. ახლა ეს ნამუშევარი მოსკოვში, ბავშვთა შემოქმედების საკავშირო მუზეუმში ინახება. მას შემდეგ სპორტულ თემაზე არაფერი შემიქმნია.



# ვისვენებ, როცა ჩვენი სპორტსმენები იმარჯვებენ

* * *

გოგი ხუციშვილმა 1966 წელს დაამთავრა ასპირანტურა ქართული ხელოვნების ისტორიის სპეციალობით, მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი. 1951-58 წლებში ქანდაკებას სწავლობდა ზაქარია კრაწაშვილთან, 1959-67 წლებში ფერწერას — გურამ ქუთათელაძესთან. 1965 წლიდან გამოფენებში მონაწილეობს. არის რესპუბლიკური, საკავშირო და საზღვარგარეთ მოწყობილი გამოფენების მონაწილე. 1973 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის ისტორიაში. 1974-1975 წლებში საფრანგეთში იყო სტაჟირებაზე, მუშაობდა პარიზის ნატიფ ხელოვნებათა სკოლაში, იქვე დაასრულა თავისი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები. 1975 წლის ივნისში პარიზში მოეწყო მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა.

**⊙ თქვენ კარგა ხანს ცხოვრობდით პარიზში. თავისუფალ დროს, ალბათ, სპორტულ სანახაობებსაც ესწრებოდით, არა?**

— საკმაოდ ხშირად და აი, რა მაკვირვებდა: ფრანგები ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდნენ ფეხბურთისადმი, მაგრამ იმ პერიოდში ამ სარბიელზე ვერაფრით გამოირჩეოდნენ. კოპა-ფონტენ-პიანტონის სახელოვან თაობას კარგა ხნის წინათ ჰქონდა დატოვებული ასპარეზი, შემცვლელი კი არ ჩანდა. ფრანგები მაინც არ ღალატობდნენ სპორტის საყვარელ სახეობას, ხშირად იმართებოდა საერთაშორისო ტურნირები. ფეხბურთის რომელ ვარსკვლავს არ უთამაშია პარიზში. ერთი სიტყვით, ფრანგები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ საქმე გამოესწორებინათ. ეს ის დრო იყო, როცა დიდ იმედებს ამყარებდნენ „ნანსიში“ მოთამაშე ყმაწვილ პლატინიზე. არაერთხელ ვყოფილვარ პარიზის „კოლომბოს“ და „პარკ დე პრენსის“ სტადიონებზე. გულშემატკივრები ამბობდნენ, სადაც ჩვენებიც გაითქვამენ სახელსო და ასეც მოხდა: ცოტა მოგვიანებით, 1978-86 წლებში, „სამფეროვანთა“ ნაკრები ერთ-ერთი უძლიერესი გახდა მსოფლიოში. ფრანგულში გაჩნდა სიტყვა „პლატინისიმო“, რაც უაღრესად ნატიფ ნამუშევარს ნიშნავს.

**⊙ თუ არ ვცდები, ფრანგულ ფეხბურთს ისევ ულიმღამო პერიოდი დაუდგა.**

— ესეც დროებითი მოვლენა იქნება. არ შეიძლება კრიზისი გახანგრძლივდეს იქ, სადაც ფეხბურთი ასე უყვართ.

**⊙ თქვენი საყვარელი კრივი ხომ არ დაგვიწყებიათ?**

— არა, მოკრივეთა შეჯიბრებებსაც ვესწრებოდი, მაგრამ სპორტის ამ სახეობაში ფრანგებს უკვე აღარა აქვთ დიდი წარმატებები.

**⊙ ახლა ქართულ სპორტზეც გვითხარით რამე.**

— ხშირად ვესწრები შეჯიბრებას მხატვრულ ტანვარჯიშში და უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ ბევრი ნამდვილი ტალანტი გვყავს. ძალიან კარგი წამოწყება იყო ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის დაწესება ჟურნალ „საქართველოს ქალის“ პრიზზე. ახალგაზრდებს მეტი ასპარეზი ექნებათ. სხვათა შორის, კარგი იქნება, თუ ჩვენთან მოეწყობა მხატვრული ტანვარჯიშის გამოჩენილ ოსტატთა საჩვენებელი გამოსვლები.

**⊙ ესწრებით იმ შეჯიბრებებს, რომელშიც თქვენი შვილები მონაწილეობენ?**

— ვესწრები, როცა ვახერხებ. ეს საქმე დედას აქვს მინდობილი.

**⊙ ასპარეზი დიდი გაქვთ ხუციშვილებს: მხატვრული ტანვარჯიში, ფარიკაობა, რეგბი...**

— მხატვრულ ტანვარჯიშსა და ფარიკაობას საქართველოში არასოდეს მოჰკლებია გულშემატკივარი, აი რეგბის რატომ შევუწყერით, არ ვიცი. შეჯიბრებები ხშირად იმართება, თანაც უმაღლეს დონეზე, მაგრამ სპორტის ამ ვაჟკაცურ სახეობას მაინც არა ჰყავს მაყურებელი. იქნებ ეს სპორტსმენების ბრალიცაა, რა ვიცი...

**⊙ თქვენს შვილებს სპორტულ სარბიელზე წარმატებებს ვუსურვებ, თქვენ კი, როგორც გულშემატკივარს — ჯანმრთელობას. ერთი ეს მითხარით, როდესმე ისვენებთ?**

— ჩემი დასვენება ის დადებითი ემოცია გახლავთ, რასაც ჩვენი სპორტსმენების გამარჯვებებით ვღებულობ.

**ესაუბრა გივი გამრეკელი.**

**დავით იაკობაშვილის ფოტო.**

## დაისაჯნენ დამრღვევები

„ლელოს“ მკითხველებმა იციან, ფეხბურთში საქართველოს პირველობის წლევანდელ გათამაშებაში სრული წესრიგის დასამყარებლად ბევრი ღონისძიება გატარდა, რის შედეგადაც საგრძნობლად იკლო ხულიგნურმა გამოხდომებმა და სხვა უხეშმა დარღვევებმა.

წლევანდელი სეზონი თითქოს ურიგოდ არ მთავრდებოდა. და მაინც სეზონის მიწურულს მოხდა ინციდენტი, რომელმაც ჩრდილი მიაყენა მთელ კოლექტივს. როგორც ცნობილია, რესპუბლიკის 1986 წლის პირველობის II ჯგუფის ზონებში გამარჯვებულმა გუნდებმა ამას წინათ თბილისში გადასასვლელი მატჩები ჩაატარეს. ამ კოლექტივებს შორის იყო ხობის „კოლხეთი“, სწორედ „კოლხეთის“ რამდენიმე ფეხბურთელმა ჩაიდინა საძრახისი საქციელი ტურნირის დამთავრების შემდეგ სასტუმრო „ამირანში“. ფეხბურთელებმა ე. ქომეთიანმა, ნ. სერგიამ და რ. სამხარაძემ გუნდის ხელმძღვანელების დაუკითხავად დატოვეს სასტუმრო, გვიან ღამით კი ნასვამები დაბრუნდნენ. ნ. სერგიას თან ახლდა უცხო პირი, რომელიც სასტუმროში არ შეუშვეს. დავა სასტუმროს ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან კონფლიქტში და სიტყვიერ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. მოჩხუბრები მხოლოდ მას შემდეგ დაშოშმინდნენ, როცა საქმეში ჩაერივნენ მილიციისა და საქართველოს სპორტსახკომის წარმომადგენლები.

ამ დღეებში ხობის „კოლხეთის“ ფეხბურთელთა ხულიგნური მოქმედება საგანგებოდ განიხილა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა. ნ. სერგიას, ე. ქომეთიანს და რ. სამხარაძეს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური და 1987 წლის საფეხბურთო სეზონში მიეცათ პირობითი დისკვალიფიკაცია. კოლექტივში აღმზრდელობითი მუშაობის შესუსტებისა და დისციპლინის დაქვეითებისათვის საყვედური გამოუცხადეს გუნდის უფროსს გ. გორჩინავას, უფროს მწვრთნელს ა. ახობაძეს და მწვრთნელ ფ. გოცირიძეს. „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ფ. ნავერიანს და უფროს ინსტრუქტორს ფეხბურთში შ. ხანიაშვილს მიეთითათ.

# მონბლანი

## მსოფლიო ალპინიზმის 200 წლისთავისათვის

ამ ზაფხულის მიწურულს, მონბლანის მახლობლად, შამონში, უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. აქ შეკრებილებმა მსოფლიო ალპინიზმის 200 წლისთავი იზეიმეს, თქვეს ამ მთისა და იმ ბარის ამბები, მოიგონეს გლეხი ჟაკ ბალმა და ექიმი მიშელ გაბრიელ პაკარი, რომლებიც 1786 წლის 8 აგვისტოს ევროპის „სახურავზე“ — მონბლანზე ავიდნენ და ამ ასვლით მსოფლიო ალპინიზმს ჩაუყარეს საფუძველი. გაიხსენეს ორას-ბენედიქტ დე სოსიურიც, ის, ვისაც მონბლანზე ასვლის იდეა გაუჩნდა, ვინც თანამოაზრეები გაიჩინა და ამ საქმის ინიციატორად მოგვევლინა.

1760 წელს ოცი წლის სოსიური ჟენევიდან საფრანგეთის მაღალმთიან სოფელ შამონში ჩავიდა. ცნობისმოყვარე მკვლევარს ყველაფერი აინტერესებდა. იგი ფიზიკოსიც იყო, ბოტანიკოსიც, გეოლოგიც, ზოოლოგიც, ფილოსოფოსიც, ლათინისტიც, ელინისტიც, და ვინ მოსთვლის, კიდევ ვინ. მონბლანის ნახვის შემდეგ მოსვენება დაეკარგა, მაგრამ იცოდა, რომ ასვლა იოლი საქმე არ იქნებოდა და ამისათვის სერიოზული მომზადება იყო საჭირო. ფულადი პრემია დააწესა იმისათვის, ვინც მწვერვალისაკენ გზას უჩვენებდა, გაჰყვებოდა. მაგრამ, ჯილდო როგორი მაცდურიც არ უნდა ყოფილიყო, ასე ადვილად ვერავის მოხიბლავდა, რადგან იმ დროს მონბლანზე ასვლა უგუნურობად მიაჩნდათ. ბევრი ასეთ წამოწყებას თვითმკვლელობად თვლიდა. ამიტომ ბენედიქტ დე სოსიურის პრემია დიდხანს ხელუხლებელი რჩებოდა. მისი მოპოვება მხოლოდ თხუთმეტი წლის შემდეგ გადაწყვიტა ოთხმა შამონელმა გლეხმა.

გლეხებმა მონბლანზე ასვლა მისი მეზობელი მწვერვალის ლიაკოტის გადავლით სცადეს, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ, არც სხვებს გაუმართლათ.







მონბლანზე პირველამსვლელები (მარცხნიდან) ჟაკ ბალმა და მიშელ გაბრიელ პაკარი; ორას-ბენედიქტ დე სოსიური, რომელსაც მონბლანზე ასვლის იდეა გაუჩნდა და ამ საქმის ინიციატორი იყო; მარჯვნივ — მწვერვალი მონბლანი.



1784 წელს მონბლანზე შამონელმა ნატურალისტმა პიერ ბურიმ მიიტანა იერიში. იგი ყველა თავის წინამორბედზე მაღლა ავიდა, მაგრამ ისე დაიღალა, დასუსტდა და გაიყინა, რომ იძულებული გახდა პირი ებრუნებინა. ბურიმ თავისი ცდის შესახებ სოსიურს აცნობა. ორას-ბენედიქტმაც გადაწყვიტა ბურისთან ერთად ეცადა ბედი და 1785 წელს მონბლანისკენ დაიძრა. იერიშის დაწყებამდე სამი შამონელი გლეხი მონბლანის მისადგომისკენ გაგზავნა, რათა მათ 1450 მეტრის სიმაღლეზე ღამისსათევი ქვის ქოხი აეგოთ. როცა ქოხში საკვები და სხვა საჭირო ნივთები მოიმარაგა, სოსიური თავის მეწყვილესთან და თხუთმეტ მთიელ გამცილებელთან ერთად, რომლებსაც პროდუქტი, საჭურველი და შეშა მიქონდათ, მწვერვალისაკენ მიმავალ გზას დაადგა. ღამე ქოხში გაათენეს, მეორე დღეს კი სოსიური და ბური გზას მარტონი გაუდგნენ. სავალი თანდათან რთულდებოდა. მთის ფერდობი, რომელზეც ახალი თოვლი იდო, უფრო დამრეცი გახდა. მოიერიშეებს მწვერვალი ზვავით ემუქრებოდა და გაწბილებულები უკან დაბრუნდნენ.

ერთი წლის შემდეგ, 1786 წელს სოსიურის პრემიას ჟაკ ბალმამ დაადგა თვალი.

ბალმა ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე მონადირე გლეხი იყო. ნადირობა მისთვის გატაცებაც იყო და თავის სარჩენი საშუალებაც. ტყე-ღრეში ნადირის დევნაში გამოწრთობილს სალაშქრო თვისებებიც განუვითარდა.

იმ გაზაფხულზე ჟაკ ბალმა, გამცილებლებთან ერთად, მონბლანისკენ მიმავალი სხვა გზების მოსაძებნად გაეშურა და მათთან ერთად მონბლანსა და მის მეზობელ მწვერვალ გუტეს შორის მოქცეულ ქედამდე ავიდა, აქ გამცილებლები შედრკნენ და პირი იბრუნეს. ბალმამ მარტოდმარტომ გააგრძელა გზა, მაგრამ მალე იძულებული გახდა ოთხით ეფორთხა. ამან სიქა გააძრო და უკან დახევა გადაწყვიტა, მაგრამ გამცილებლებს ველარ დაეწია.

ის ღამე მონადირემ 3000 მეტრის სიმაღლეზე გაათია. ინათა თუ არა, მწვერვალისაკენ მიმავალი გზის მოსაძებნად ახლა სხვა მხარეს წავიდა, წავიდა და, სიხარულისაგან ცას ეწვია.

შინ დაბრუნებულს თავისი აღმოჩენის შესახებ არავისთვის არაფერი უთქვამს. ერთ დღესაც ყური მოჰკრა, ადგილობრივი ექიმი მიშელ პაკარი დიდი ხანია მონბლანზე ასვლას ოცნებობსო. ბალმა პაკარს გამოეცხადა და, როგორც მეგზურმა, თავისი სამსახური შესთავაზა. შამონელ გლეხს სურდა თავისი აღმოჩენილი გზა შეემოწმებინა. ექიმმა და მონადირემ ხელი ხელს დაჰკრეს და მწვერვალისაკენ გაემართნენ. მათი სალაშქრო აღჭურვილობა იყო მხოლოდ... თხელი საბანი, თუკი საბანს ალპინისტური საჭურველი შეიძლება ეწოდოს. ეს იყო და ეს.

ასვლა გაუჭირდათ. კუს ნაბიჯით მიიწევდნენ წინ. გაყინული და ქანცგაწყვეტილი პაკარი უკან დაბრუნებას ითხოვდა. ბალმას შეუპოვრობა რომ არა, ისინი მართლაც უკან დაიხევდნენ, მაგრამ მონადირე ამხნევებდა და ეხმარებოდა თავის მეწყვილეს, რომელმაც მონბლანის უმაღლეს წერტილს ოთხით მიაღწია.

აი, როგორ აღწერენ ამ ფაქტს მხილველნი: „ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ადოლფ ტრაუგოტი და გერსდორფ მაიერსდორფი, აგრეთვე შარლ ანდრე დე მაიერი გავემართეთ შამონი-ან-ფოსინიში, რათა ახლოდან გვენახა მყინვარები და ამ ადგილების სხვა ღირსშესანიშნაობანი. 1786 წლის 8 აგვისტოს ჩვენ დურბინდით დავინახეთ როგორ ავიდნენ მიშელ გაბრიელ პაკარი, ხსენებული შამონის ექიმი, დოქტორი და მისი მეგზური ჟაკ ბალმა 6 საათსა და 23 წუთზე მონბლანზე და როგორ დასეირნობდნენ იქ. მწვერვალზე ისინი 34 წუთს დარჩნენ“.

აი, პირველად ასე დალაშქრეს მონბლანი. მაშინ არც ჟაკ ბალმამ და არც მიშელ პაკარმა არ იცოდნენ, რომ ევროპის უმაღლეს

იხ. მე-4 გვ.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# ორი ძნელი გამარჯვება

დასასრული

ნდის თამაშის ხარისხი. ეს მინსკელებთან და კიეველებთან ჩატარებულმა შეხვედრებმაც ცხადყო.

რტი თბილისელთათვის ტრადიციულად „უხერხულ“ მეტოქედ ითვლება, „დინამოს“ ყოველთვის უჭირს ამ გუნდთან „ჭიდილი“. ასე იყო გასულ ოთხშაბათსაც, როცა დინამოელებმა მძიმე ბრძოლაში ბოლო წამებზე მიაღწიეს გადამწყვეტ უპირატესობას. ასეთი დამქანცველი შეხვედრის შემდეგ ძნელია მეორე დღესვე მთელი ძალღონით ჩაატარო არანაკლებ რთული და საპასუხისმგებლო მატჩი. ალბათ ამით იყო ნაკარნახევი ის, რომ თბილისელთა მწვრთნელებმა კიეველებთან შეხვედრისთვის სასტარტო ხუთეულში ორი ახალგაზრდა — დავით ტალაბაძე და ალექსანდრე ფერიაშვილი შეიყვანეს, შემდეგ კი მათ კიდევ ერთი სათადარიგო მოთამაშე — დავით გიორგობიანიც დაემატა. ყოველივე ამან თბილისელთა ლიდერებს საშუალება მისცა სული მოეთქვათ. ის, რომ ეს „მანევრი“ გარკვეულ რისკთანაც იყო დაკავშირებული, მატჩის მსვლელობამაც დაგვანახა. კიეველებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და დაწინაურდნენ. მეორე ტაიმის მე-5 წუთზე სხვაობამ მაქსიმუმს — თერთმეტ ქულას მიაღწია. ამ კრიტიკულ მომენტში იმარჯვეს თბილისელთა ლიდერებმა: დარსაძემ ზუსტად გამოიყენა ჯერ სამი საჯარიმო სროლა, შემდეგ ექვსმეტრიანი ზონიდან ზედიზედ სამჯერ მიზანში ტყორცნა ბურთი. მას კაპუსტინმაც კარგად აუბა მხარი. კიეველთა უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაქრა, საფინალო სასტვენამდე ექვსი წუთით ადრე კი კაპუსტინის ზუსტმა სამქულიანმა სროლამ „დინამო“ დააწინაურა — 68:65. ამის შემდეგ კიეველებმა კიდევ ორჯერ მოახერხეს წინ გასვლა, მაგრამ მასპინძელთა შეჩერება უკვე შეუძლებელი აღმოჩნდა. შეხვედრის დამთავრებამდე 23 წამით ადრე, როცა ანგარიში იყო 76:76, თავისი სიტყვა თქვა გელა დარსაძემ, მან ორი ქულა მოუტანა თავის გუნდს, რასაც საჯარიმო სროლის შემდეგ კიდევ ერთი დაუმატა. საბოლოო შედეგი ასეთი იყო — 79:76.

**ზურაბ ფოცხვერია.**



თბილისელთა უფროსი მწვრთნელი ლევან მოსეშვილი გამარჯვებას ულოცავს მოთამაშეებს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

• • •

**თბილისი. სპორტის სასახლე. 24 დეკემბერი.**

**„სტროიტელი“ (კიევი) — „დინამო“ (მოსკოვი) 98:83 (43:49).**

**„სტროიტელი“: შაპტალა (26), ბონდარენკო (21), ვოროტნიუკი (17), პოდკოვიროვი (16), სილვესტროვი (11), კოსენკო (5), კოჟელიანკო (2).**

**„დინამო“: შიშკოვი (24), ფესენკო (18), ლინდინი (11), სიზოვი (9), სუხარევი (7), ოხოტნიკოვი (4), კოჩერგინი (4), კორნიშინი (2), ჟიგილიი (2), კოლიჩევი (2).**

**მსაჯები: ი. გოლინსკი (კალუგა) და ს. ფომინი (სმოლენსკი).**

**თბილისი. სპორტის სასახლე. 25 დეკემბერი.**

**„დინამო“ (მოსკოვი) — რტი (მინსკი) 88:80 (42:43).**

**„დინამო“: კოლიჩევი (20), სიზოვი (18), ფესენკო (14), ლინდინი (11), ჟიგილიი (9), კორნიშინი (6), ოხოტნიკოვი (6), შიშკოვი (4), სუხარევი.**

**რტი: იაკუბენკო (21), ჟელუდოკი (15), პარფიანოვიჩი (14), ბუზლიაკოვი (7), გრიშჩუკი (6), პუსტოგვარი (5), სატიროვი (5), სლანევსკი (4), დემკო (3), კრიშჩიკი.**

**მსაჯები: ი. გოლინსკი (კალუგა) და ტ. ხახანოვი (ბაქო).**

# ლიდერები ურთიერთობას არკვევენ

**დონეცკსა და რიგაში გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.**

**დონეცკი.** ტურის ცენტრალური მატჩი (ცსკა — „ჟალგირისი“) უაღრესად დაძაბული გამოდგა. პირველი ნახევრის შემდეგ ლიტველები წინ იყვნენ 3 ქულით (48:45). მეორე ტაიმში ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა და დიდხანს მდგომარეობა გაურკვეველი იყო. გამარჯვებული შეხვედრის მიწურულში გამოვლინდა. „ჟალგირისმა“ მეტოქეს მხოლოდ ერთი ქულით აჯობა — 91:90.

მეორე დღეს ორივე მეტოქემ უფერულად ჩაატარეს თამაშები. „ჟალგირისმა“ რის ვაი-ვაგლახით აჯობა ტურნირის ერთ-ერთ აუტსაიდერს ალმა-ათის ასკ-ს 84:82 (აღსანიშნავია, რომ ტაიმი არმიელმა კალათბურთელებმა მოიგეს 45:40).

ამ დღეს არც ცსკა-ს დაადგა კარგი დღე. „შახტიორთან“ შეხვედრის პირველი ტაიმის შემდეგ სადემონსტრაციო დაფა ფრეს — 47:47 აღნიშნავდა. მოსკოვის კალათბურთელებს მთელი ძალების მობილიზება დასჭირდათ, რომ ბრძოლის ბედი შემოებრუნებინათ. მათ მიაღწიეს კიდეც მიზანს, მაგრამ ეს გამარჯვება ნაკლებად დამაჯერებელი და ეფექტური იყო — 99:94.

და კიდევ ერთი შეხვედრის შესახებ, რომელიც წინა დღეს გაიმართა. ადგილობრივმა „შახტიორმა“ შედარებით ადვილად დაამარცხა ალმა-ათის ასკ — 101:79.

**რიგა.** ამ ჯგუფში უკვე სამი გამარჯვება მოიპოვა ლენინგრადის „სპარტაკმა“ [illegible] მარტომაც ერთგვარად [illegible] ბოლო ორ ტურში ნევისპირელებმა ჯერ ვილნიუსის „სტატიბას“ აჯობეს (71:65), მერე კი რიგის ვეფ-ი დამარცხეს (75:73).

კიევის არმიელები ჯგუფის მატჩების დაწყებამდე სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე იმყოფებოდნენ. რიგაში მათ აშკარად მოეცარათ ხელი — სასტარტო შეხვედრაში ჯერ ლენინგრადის სპარტაკელებთან დამარცხდნენ, მერე კი მძაფრი ბრძოლა ვეფ-თანაც დათმეს — 99:102. ერთადერთი ქულა არმიელებმა „სტატიბასთან“ შეხვედრაში აიღეს — 80:77.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 18 | 15 | 3 | 1734-1490 | 33 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 18 | 12 | 6 | 1554-1476 | 30 |
| ასკ (კიევი) | 18 | 11 | 7 | 1537-1552 | 29 |
| „დინამო“ (თბილისი) | 18 | 11 | 7 | 1360-1419 | 29 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 18 | 10 | 8 | 1421-1421 | 28 |
| „სპარტაკი“ (ლენინგრ.) | 18 | 10 | 8 | 1490-1452 | 28 |
| ვეფ (რიგა) | 18 | 9 | 9 | 1643-1651 | 27 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 18 | 7 | 11 | 1510-1503 | 25 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 18 | 7 | 11 | 1560-1608 | 25 |
| „სტატიბა“ (ვილნიუსი) | 18 | 6 | 12 | 1460-1571 | 24 |
| რტი (მინსკი) | 18 | 5 | 13 | 1437-1452 | 23 |
| ასკ (ა-ათა) | 18 | 5 | 13 | 1471-1582 | 23 |

* * *

**გუშინ** გაიმართა ორი შეხვედრა: „დინამო“ (მოსკოვი) — „სტროიტელი“ (კიევი) — 86:85 (52:45), „დინამო“ (თბილისი) — რტი (მინსკი) — 97:90 (46:48).

# თასით დაგვირგვინდა

დასასრული

თნელმა ნატალია მაშუკმა, — მაგრამ თასის მოპოვებაზე მეტად „სკოლაში“ დაწინაურება მახარებს, რადგან სინქრონულ ცურვაში სპორტსმენის ოსტატობის განმსაზღვრელი სწორედ სავალდებულო პროგრამაში მოპოვებული შედეგია. „სკოლაში“ გამარჯვება მეტად პრესტიჟულია. საინტერესოა, რომ ლელამ თავის უახლოეს მეტოქეს 0,9 ბალით აჯობა, რაც სინქრონულ ცურვაში დიდ უპირატესობად ითვლება.

**◉ საკავშირო თასის გათამაშებაში ხშირად ყველა უძლიერესი სპორტსმენი არ გამოდის. ახლა როგორმა შემადგენლობამ მოიყარა თავი?**

— შეჯიბრებაზე ყველა გუნდი საბრძოლო შემადგენლობით წარსდგა. გამონაკლისი. მხოლოდ მოსკოვისა და საქართველოს ნაკრები იყო. მოსკოველებს ორი აღიარებული წყვილი აკლდათ, მაგრამ ეს გუნდი, როგორი შემადგენლობითაც უნდა გამოსულიყო, მაინც ყველაზე ძლიერია. ამჯერად მოსკოველთა გუნდში საკავშირო ნაკრების 5 წევრი იყო. საინტერესოა, რომ წყვილთა გამოსვლაში ჭაბუკთა თამაშებისა და ევროპის ჩემპიონებმა, მოსკოველებმა ელენა აზაროვამ და ნატალია გრუზდევამ ამჯერად მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავეს. მეორე ადგილი წილად ხვდა ოლგა ტარასოვა— ოლგა მალინინას წყვილს (მოსკოვი), რომელიც ასევე საკავშირო ნაკრების წევრია. რაც შეეხება ჩვენს გუნდს, რამდენიმე სპორტსმენი შეჯიბრებამდე ავად გაგვიხდა და ამიტომ ჯგუფურ ვარჯიშში გამოსვლა ვერ შევძელით, სამაგიეროდ, ახალგაზრდები გამოვცადეთ.

**◉ წყვილთა გამოსვლაში ასეთ წარმატებას თუ ელოდით?**

— ის ორი უძლიერესი წყვილიც რომ გამოსულიყო, დარწმუნებული ვიყავით, რომ მესამე, ან უარეს შემთხვევაში, მეოთხე ადგილზე მაინც გავიდოდით.

**◉ სეზონის მიწურულს სპორტსმენები, როგორც წესი, ფორმაში არ არიან, თქვენ როგორ შეინარჩუნეთ იგი?**

— წლევანდელ სეზონში თვალსაჩინო მიღწევები გვქონდა და გვინდოდა ეს აღმასვლა კარგად დაგვეგვირგვინებინა. ამიტომ შეჯიბრებისთვის გულმოდგინედაც ვემზადებოდით, მაგრამ ჩვეულ სპორტულ ფორმაში მაინც არ ვიყავით, თუმცა, ეს მარტო ჩვენზე არ ითქმის.

ჩვენს თასის მფლობელ გოგონებსაც გავესაუბრეთ.

**◉ როგორ ფიქრობთ, ადვილი იყო თასის მოპოვება?**

— გამარჯვება იოლი არასოდეს არ არის, მაგრამ ასპარეზობა ჩვენთვის და მოსკოველებისათვის უფრო ძნელი იყო, ვიდრე სხვებისთვის. საქმე ისაა, რომ ჩვენ უკეთეს პირობებში ვვარჯიშობთ. აუზებში წყალქვეშა დინამიკები გვაქვს, რასაც სხვები მოკლებული არიან. ამ შეჯიბრებაზე, როცა წყვილთა გამოსვლები დაიწყო, წყალქვეშა დინამიკები გადაიწვა. ასე რომ, წყალქვეშ მუსიკა აღარ გვესმოდა. მართალია, სხვებიც „ყრუდ“ ასპარეზობდნენ, მაგრამ ისინი ამას მიჩვეულები არიან. გარდა ამისა, კენჭისყრით ჩვენს ძირითად მეტოქეებზე ადრე ვიასპარეზეთ, სინქრონულ ცურვაში კი გაცილებით უკეთესია, როცა სარბიელზე უახლოეს კონკურენტებზე გვიან გამოდიხარ.

ლელა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტია, ნინო კი თბილისის უნივერსიტეტში სწავლობს. ორივე მეორე კურსზეა. ლელა მამიაური ადრე ხრისტინა ფალასინიდისთან ერთად გამოდიოდა, მამიაურ—გელაშვილის „დუეტი“ მწვრთნელმა ამ ერთი წლის წინათ შექმნა.

ისინი, როგორც იტყვიან, ერთმანეთს უსიტყვოდ უგებენ და ორიგინალური პროგრამაც აქვთ.

იმედია, რომ საკავშირო თასის მოპოვება ჩვენს გოგონებს მეტ სტიმულს მისცემს. გუნდში ურთიერთგაგება და შესანიშნავი ატმოსფეროა. ეს კი მომავალ წარმატებათა საწინდარია.

**ავთანდილ ჟუჟუნაშვილი.**

## წარმოგიდგენთ კანდიდატებს

დასასრული

შვილი თავის მოწაფეებთან ერთად მოვიდა რესპუბლიკის პირველ გუნდში. არადა, იმ პერიოდში ჩვენი თავისუფალი ჭიდაობა წელში გამართული ვერ იყო. ქვეყნის ნაკრებში იშვიათად თუ იწვევდნენ ქართველ მოჭიდავეს. უფროს მწვრთნელს მძიმე ტვირთი დააწვა მხრებზე. ძველი თაობა უკვე მიდიოდა დიდი სპორტიდან, ახალგაზრდებს კი საკავშირო ნაკრებამდე ჯერ კიდევ შორი გზა ჰქონდათ გასავლელი.

ახალმა მწვრთნელმა საქმის მცოდნე, უნარიანი სპეციალისტები შემოიკრიბა და ერთ მუშტად შეკრული, მონოლითური კოლექტივი ჩამოაყალიბა. 1983 წელს, საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე, საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა ერთბაშად ხუთი საფეხურით წაიწიეს წინ და გუნდურ ჩათვლაში მეოთხე ადგილზე გავიდნენ. მაშინ უფროსმა მწვრთნელმა თქვა: „მომავალი შეჯიბრებებისთვის უფრო დიდი მიზნები უნდა დავისახოთ, ამას გვავალებს თავისუფალი ჭიდაობის ქართული სკოლის სახელოვანი ტრადიცია, რომელიც ათწლეულების მანძილზე იქმნებოდა და რომელიც, სამწუხაროდ, ერთ პერიოდში ღირსეულად ვერ გავაგრძელეთ. დღეისათვის არსებული რეზერვი გვაძლევს უფლებას, რომ მომავალს ოპტიმისტურად ვუყუროთ“.

ვლადიმერ მესტვირიშვილმა და მისმა კოლეგებმა კარგად იცოდნენ, რომ საჭირო იყო საკავშირო ნაკრებში ნიჭიერი ახალგაზრდობის დაწინაურება, რათა მათ ევროპული და მსოფლიო სარბიელისკენ გახსნოდათ გზა. 1984 წლის სპორტული სეზონის შედეგების მიხედვით ქვეყნის მთავარ გუნდში მიიწვიეს ლერი ჰაბელოვი და დავით გობეჯიშვილი (ხაბელოვის პირადი მწვრთნელი სწორედ ვლადიმერ მესტვირიშვილი გახლავთ). უფროსი მწვრთნელი ყველას არწმუნებდა, ეს ბიჭები დღეს თუ ხვალ უთუოდ მსოფლიო ჩემპიონები იქნებიანო. ასეც მოხდა!

საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ივან იარიგინმა საკავშირო პრესაში მაღალი შეფასება მისცა საქართველოს ფალავანთა ოსტატობას, ხაზი გაუსვა ვლადიმერ მესტვირიშვილის თავდადებულ მუშაობას. შემთხვევითი არ არის, რომ მესტვირიშვილი საკავშირო ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი გახდა.

ვლადიმერ მესტვირიშვილს არ სჩვევია მიღწეულით დაკმაყოფილება. დღეს იგი ახალი სპორტული მწვერვალების დასაპყრობად ამზადებს ბიჭებს. წინ არის არანაკლებ საინტერესო და საპასუხისმგებლო სპორტული სეზონი.

# ვლადიმერ მესტვირიშვილი

# სპორტული სეზონის ლაურეატები

### სპორტსმენი № 1

**საბჭოთა** კავშირის სპორტულმა ჟურნალისტებმა საახალწლო ტრადიციულ გამოკითხვაში სეზონის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს სერგეი ბუბკა — მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი ჭოკით ხტომაში. 23 წლის დონეცკელმა სტუდენტმა 1986 წელი ევროპის ჩემპიონატსა (შტუტგარტი) და კეთილი ნების თამაშებში (მოსკოვი) უნიკალური გამარჯვებებით აღნიშნა — ჭოკითმხტომელთა შორის პირველმა გადალახა ექვსმეტრიანი ზღვარი და მსოფლიო რეკორდი 601 სანტიმეტრამდე აიყვანა. შეგახსენებთ, რომ სერგეი ბუბკას ჟურნალისტები ზედიზედ მესამედ ასახელებენ საბჭოთა კავშირის საუკეთესო სპორტსმენად.

ათეულში ანბანის მიხედვით მოხვდნენ აგრეთვე: იგორ ბელანოვი (ფეხბურთი, კიევი), იური ზახარევიჩი (ძალოსნობა, დიმიტროვგრადი), გარი კასპაროვი (ჭადრაკი, ბაქო), იგორ პოლიანსკი (ცურვა, ნოვოსიბირსკი), იგორ ჟელეზოვსკი (ციგურაობა, მინსკი), არვიდას საბონისი (კალათბურთი, კაუნასი), იური სედიხი (მძლეოსნობა, მოსკოვი), მარინა სტეპანოვა (მძლეოსნობა, ლენინგრადი), ანდრეი ჩესნოკოვი (ჩოგბურთი, მოსკოვი).

სულ რეფერენდუმის მონაწილეებმა 70 სპორტსმენი დაასახელეს და მათ შორის მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში მაია ჩიბურდანიძე.

### რესპუბლიკაში საუკეთესონი

**საბჭოთა** კავშირის ოლიმპიურმა კომიტეტმა და ჟურნალ „ოლიმპიისკაია პანორამამ“ მეხუთედ გამოავლინა მოკავშირე რესპუბლიკების წლის საუკეთესო სპორტსმენები. აი, ამ კონკურსის ლაურეატები:

**იური ზახარევიჩი** (რსფსრ) — მსოფლიო ჩემპიონი ძალოსნობაში.

**სერგეი ბუბკა** (უკრაინა) — ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი ჭოკით ხტომაში.

**იგორ ჟელეზოვსკი** (ბელორუსია) — მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდსმენი ციგურებით რბენაში (სპრინტერული მრავალჭიდი).

**არსენ ფაძაევი** (უზბეკეთი) — მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.

**ანატოლი ხრაპატი** (ყაზახეთი) — მსოფლიო ჩემპიონი ძალოსნობაში.

**მაია ჩიბურდანიძე** (საქართველო) — მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში.

**გარი კასპაროვი** (აზერბაიჯანი) — მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში.

**არვიდას საბონისი** (ლიტვა) — სსრ კავშირის ჩემპიონი და საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი კალათბურთში.

**სვეტლანა გუსკოვა** (მოლდავეთი) — სსრ კავშირის ჩემპიონი გრძელ მანძილებზე რბენაში.

**რაიმონდს ვილდე** (ლატვია) — — კეთილი ნების თამაშებში გამარჯვებული, მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი ფრენბურთში.

**იგორ პაკლინი** (ყირგიზეთი) — ევროპის ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში, მსოფლიო რეკორდსმენი.

**ზებინისო რუსტამოვა** (ტაჯიკეთი) — ევროპის ჩემპიონი მშვილდოსნობაში.

**რობერტ ემიანი** (სომხეთი) — ევროპის ჩემპიონი და რეკორდსმენი სიგრძეზე ხტომაში.

**ვლადიმერ სულთანოვი** (თურქმენეთი) — მსოფლიო ჩემპიონი ველოსპორტში იუნიორთა შორის (ტრეკი).

**ჰაია პარვე** (ესტონეთი) — მსოფლიო ჩემპიონი ბიატლონში.

# მონბლანი

(დასასრული)

მწვერვალზე ავიდნენ (ეს ცნობილი გახდა მხოლოდ 1820 წელს, როცა მონბლანი გაზომეს). ალბათ, ვერც იმას წარმოიდგენდნენ, რომ მათი ასვლა სათავეს დაუდებდა მთამსვლელობას, რომელსაც მონათლავდნენ ამ მთების სახელიდან წარმომდგარი სახელით „ალპინიზმი".

ზოგიერთი ისტორიკოსი თვლის, რომ ალპინიზმის „დაბადების დღე"... 1336 წლის 26 აპრილია. ამ დღეს იტალიელი პოეტი და ჰუმანისტი ფრანჩესკო პეტრარკა თავისი სამშობლოს მთებში, ზღვისპირა ალპებში ვოკლიუზის მახლობლად აღმართულ მწვერვალ მონტ ვენტუქსიზე (1912 მ) ავიდა. თუმცა, პეტრარკაზე 45 წლით ადრე აპენინის მთებში მწვერვალი სოგლიო (1344 მ) დალაშქრა სხვა იტალიელმა პოეტმა-ჰუმანისტმა დანტე ალიგიერიმ.

ადამიანებს მწვერვალები მანამდეც იზიდავდნენ და ადიოდნენ კიდეც. ასეთ ცნობებს ყველაზე სრულყოფილად გვაწვდის გერმანელი ავტორი კარლ ციაკი თავის წიგნში „მთები და ადამიანები". ახლა შეუძლებელია იმის დადგენა, თუ პირველად ვინ, სად და როდის ავიდა მწვერვალზე.

ციაკის ქრონოლოგიის მიხედვით პირველი ცნობილი ასვლა ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე 440 წელს სიცილიის მეფე ადრიანმა განახორციელა ვულკანურ მწვერვალ ეტნაზე. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 334 წელს ალექსანდრე მაკედონელი მცირე აზიაში სიაჩეს მასივის ერთ-ერთ მწვერვალზე ასულა. იმ ქრონოლოგიაში ყურადღებას იპყრობს იაპონელი ენ-ნო შიკაკუს ასვლა თავის ქვეყნის უმაღლეს მწვერვალ ფუძიამაზე (3776 მ). ჯერ კიდევ 1502 წელს ხუთიათასი მეტრის სიმაღლეს გადააბიჯა აცტეკთა ბელადმა მონტესუმამ, რომელიც ვულკანიზმის შესწავლის მიზნით პოპოკატეპეტლზე (5452 მ) ავიდა.

ციაკის ქრონოლოგიაში შეხვდებით სხვა მრავალ საინტერესო სახელსაც. თუ გავითვალისწინებთ იმ შორეული წლების „მთამსვლელთა" საზოგადოებრივ მდგომარეობას, ნათელი გახდება, რომ მათთან ერთად მწვერვალებზე ადიოდნენ სხვებიც, რომელთა სახელები ქრონოლოგიამ არ შემოგვინახა. მაგალითად, 1669 წელს თურქეთის სულთან მუჰამედ IV ოლიმპოს მთაზე (2911 მ) ასვლა გავიხსენოთ. სულთანმა განიზრახა ძველი საბერძნეთის ღმერთებს გატოლებოდა და ბრძანა იგი „განედიდებინათ" და ოლიმპოს წვერზე დაებრძანებინათ. სულთანი ტახტრევანზე მოაკალათეს და მისი ნება-სურვილის აღსრულებას ასობით მონამ დიდი ენერგია შეალია.

ყოველივე ამაზე რომ ვსაუბრობთ, უთუოდ უნდა გავიხსენოთ მოხევე იოსებ მღვდელი. იოანე ბატონიშვილის „კალმასობა" გვამცნობს, რომ იოსებ მღვდელი, მეფე ერეკლეს დროს, მყინვარწვერზე (5437 მ) ასულა. სამწუხაროდ, ამ ასვლის შესახებ რაიმე სარწმუნო წყარო არ მოგვეპოვება.

მოხევეთა გადმოცემით, იმ შორეულ წლებში მყინვარწვერზე თავის ძმისწულთან ერთად ბერი მამუკაც ასულა, თანაც ბეთლემის გამოქვაბულის მხრიდან, რომელიც ამ მწვერვალზე მიმავალ გზათაგან დღესაც – ყველაზე რთულია (მე-4 კატეგორიის).

ეს ასვლა სარწმუნო ჩანს, რადგან ბერი მამუკას სიტყვები: „მთის წვერი საგანგებოდ გაჭრილსა ჰგავს და წარმოადგენს კალოსავით მრგვალ და ხელის გულივით სწორ ვაკეს, რომელიც წვრილის თოვლივით არის შეფერილი ისე, რომ გეგონება თოვლის კორკოტი ჰყრიაო", მყინვარწვერის სწორ დახასიათებას წარმოადგენს.

ასეა თუ ისე, ეს ყველაფერი მაინც მთამსვლელობის წინა ისტორიას წარმოადგენს.

ახლა, მოდით, მონბლანზე ასულ ბალმასა და პაკარს დავუბრუნდეთ.

დაშვებისას პაკარს თოვლმა თვალი მოსჭრა და თითქმის ვეღარაფერს ხედავდა. ბალმასაც თვალების ანთება დაემართა და მთლად დაუწითლდა, ტუჩებიც დაუსკდა და სახეც დაუსივდა, მაგრამ ეს არ ანაღვლებდა — მას ხომ სოსიურის პრემია ელოდა.

შინ დაბრუნებულ ბალმას რიგიანად არც დაუსვენია, ისე გავარდა ჟენევაში სოსიურთან. იქიდან ორივენი შამონში დაბრუნდნენ და მონბლანს შეუტიეს, მაგრამ ისინი შუა გზიდან ქარბუქმა მოაბრუნა.

სოსიურს ფარ-ხმალი არ დაუყრია. ერთი წლის მერე, 1 აგვისტოს, ბალმასთან ერთად კვლავ მონბლანის ძირას გამოჩნდა. მათ მწვერვალისაკენ 25 მებარგული მიჰყვებოდა, მაგრამ გამცილებლები თანდათან გამოაკლდათ და ორნიღა დარჩნენ. ბალმამ და სოსიურმა პირველი ღამე მწვერვალ ლია-კოტეზე გაათენეს, მეორე ღამისთევა მონბლანის დიდი თოვლის პლატოს ოდნავ ქვემოთ ჰქონდათ, მესამე დღეს კი, ხუთი საათის სიარულის შემდეგ, მწვერვალს მიაღწიეს.



ქართველ მთამსვლელთა ერთი ჯგუფი „ევროპის სახურავზე".
შოთა მირიანაშვილის ფოტოები.

სოსიური, რომელიც უკვე სახელმოხვეჭილი მეცნიერი იყო, ამ დღეს 26 წელიწადს ელოდა.

„მე უკვე აღარ მაწუხებდა მოუსვენრობის გრძნობა, — წერდა შემდეგ სოსიური. — მომაჯადოებელი მშვენიერებით დამშვიდებული მაღალი მწვერვალების ცქერით ვტკბებოდი, რომელთაც დიდი ხანია ბარიდან ვზვერავდი. და აი, როცა ჩემს ფერხთით ვხედავდი ბუმბერაზ მთებს, პიტალო კლდეებს, რომელთა მისადგომებიც კი აქამდე მიუვალად და სახიფათოდ მესახებოდა, საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი და მეჩვენებოდა, რომ ეს ყველაფერი სიზმარი იყო... ასეთ სიმაღლეზე, გაიშვიათებული ჰაერის გამო, ხველება ამიტყდა და მკერდზე რაღაც სიმძიმეს ვგრძნობდი".

ბალმა და სოსიური მწვერვალზე 4 საათზე მეტ ხანს დარჩნენ. ამ ხნის მანძილზე სოსიური არა მარტო ბუნების სიდიადით ტკბებოდა, არამედ დაკვირვებებსაც აწარმოებდა. მან მწვერვალის სიმაღლეც გაზომა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იგი, ბალმასთან ერთად, არა მხოლოდ ალპების, არამედ მთელი დასავლეთ ევროპის უმაღლეს წერტილზე იდგა.

შამონში, მონბლანზე ასვლის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის მონაწილეთა შორის ერთ-ერთი უპოპულარესი ადამიანი ფრანგი მთამსვლელი და გამყოლი რენე კლარე-ტერნიე იყო. ამ სამოცდაათი წლის კაცს თავისებური რეკორდი დაუმყარებია — მონბლანზე 520-ჯერ ასულა, ამიტომაც დასდევდნენ ჟურნალისტები ფეხდაფეხ.

— ალპების თითქმის ყველა მწვერვალზე ავედი — ამბობს ტერნიე, — მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი მონბლანია, საიდანაც ზღაპრული სანახაობა იშლება. თანამედროვე საჰაერო ტრანსპორტის დახმარებით მწვერვალებზე ასვლა გაცილებით გაიოლდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ალპინიზმი ხელწამოსაკრავი გახდა. მთაში ყოველთვის მიმართლებდა, თითიც არ მიღრძვია, მაგრამ „სიმაღლიდან" ჩამოვარდნა თურმე საკუთარ ბაღში მეწერა ბედად — ვაშლის ხიდან ჩამოვვარდი.

ზეიმის დღეებში სხვა რეკორდსმენებიც გაიხსენეს. მათ შორის „სპრინტერი" ალპინისტები ტიერი გაზანი და პიერ კიუზენსი, რომლებმაც შამონის მოედნიდან მონბლანზე ასვლას და კვლავ შამონის მოედანზე დაბრუნებას ფანტასტიკურად მცირე დრო — 7 საათი, 56 წუთი და 30 წამი მოანდომეს.

ჩვენს მკითხველებს ალბათ ახსოვთ ის ორი ჰოლანდიელი „შერეკილი", რომლებიც მონბლანზე... ველოსიპედებით ავიდნენ. რამდენიმე წლის წინათ ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა „ვრემიაში" აჩვენეს კიდევ ერთი „თავზეხელაღებული" ფრანგი, რომელიც მონბლანიდან თხილამურებით დაეშვა. მამაცმა მოთხილამურემ დაშვებისას წონაში ათ კილოგრამზე მეტი დაიკლო.

„ევროპის სახურავზე" ახლა ალპინისტებიც ადიან და ისინიც, ვინც მწვერვალზე არასოდეს ყოფილა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მონბლანმა ქედი მოიხარა. მის ფერდობებზე ყოველწლიურად საშუალოდ 40 კაცი იღუპება, მათ შორის „ნამდვილი" მთამსვლელებიც.

ახლა ამ მწვერვალზე ქართველ მთამსვლელთა ასვლებიც გავიხსენოთ.

რევოლუციამდე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ქართველი სტუდენტებიც სწავლობდნენ, ზოგი უბრალოდ ქვეყნების გასაცნობად ჩადიოდა, რომელთაგან ბევრს ალპებისკენ მიუწევდა გული. მაგალითად, 1904 წელს შვეიცარიაში ჩავიდა და იუნგფრაუ და ვეტერჰორნი დალაშქრა ჩვენმა თანამემამულემ ერეკლე ლუკაშვილმა. ვინ იცის, იქნებ იმ წლებში რამდენიმე ქართველმა მონბლანიდანაც გადმოიხედა, მაგრამ ცნობა ამის შესახებ არ მოგვეპოვება.

1964 წელს ქართველ მთამსვლელთა ერთი ჯგუფი ალპებში რამდენიმე მწვერვალზე ავიდა. მათ შორის იყო თბილისის უნივერსიტეტის დოცენტი, ფიზიკოსი შოთა მირიანაშვილი.

— შვეიცარიაში ჟენეველი მთამსვლელების მოწვევით ჩავედით, — იხსენებს მირიანაშვილი. — ჩვენი მიზანი იყო ამ ქვეყანაში ალპინიზმისა და სამაშველო სამსახურის მდგომარეობის გაცნობა, გამოცდილების გაზიარება და, რა თქმა უნდა, მწვერვალების დალაშქვრა, დიდ სპორტულ მიზნებს არ ვისახავდით. თავდაპირველად ორ მწვერვალზე ავედით და ერთი ტრავერსიც მოვაწყეთ. ასვლები სირთულით მე-3 და მე-4 კატეგორიისა იყო. ამის შემდეგ მასპინძლებმა შამონში ჩასვლა და მონბლანზე ასვლა შემოგვთავაზეს. მონბლანი, სპორტული თვალსაზრისით, არ გვიზიდავდა, მაგრამ მოგეხსენებათ, იგი „ევროპის სახურავია" და ეს მაცდური წინადადება უფრო ამიტომ მივიღეთ. შამონიდან მონბლანის მისადგომებისაკენ დილით ტრამვაით გავედით. დაახლოებით ისეთი ტრამვაი იყო, როგორიც თბილისში, ფუნიკულიორზე გვაქვს. ტრამვაიმ ფრიალო კლდის ძირამდე აგვიყვანა. ორი საათი ფეხით ვიარეთ და მაღალმთიან ადგილზე მდებარე სასტუმროს მივადექით. ღამე იქ გავათენეთ და დილით მწვერვალისაკენ გავემართეთ. ჩვენს გარდა სხვებიც მოდიოდნენ. საკმაოდ ბევრნი იყვნენ. ოთხი საათის შემდეგ დიმიტრი დანგაძე, ოთარ და რევაზ ხაზარაძეები, ომარ ბერაძე, გიორგი ბერძენიშვილი, ნოდარ ნადირაშვილი და მე მონბლანის წვერზე ვიდექით. იქიდან საათნახევარში ჩამოვედით. საინტერესოა, რომ ალპების მწვერვალთა საშუალო სიმაღლე კავკასიონისას თითქმის 1000 მეტრით ჩამოუვარდება. კავკასიონი და ალპები თითქმის ერთ განედზეა, მაგრამ იქაური მყინვარების ენები უფრო დაბლა ეშვება და ტყის ზონამდე ჩამოდის. ასე რომ, ჩვენი და იმათი მარშრუტები სიგრძით თითქმის თანაბარია. უნდა ითქვას ისიც, რომ ალპებში ხაოიანი კლდეებია და მასზე ჩაჭიდება მაშინაც კი, როცა სველია, გაცილებით იოლია, ვიდრე კავკასიონზე.

1973 წელს ჩვენი თანამემამულე ლადო გურჩიანი თერთმეტ საბჭოთა მთამსვლელთან და მეკლდეურთან ერთად იტალიის ალპებში იყო. მათ, სხვა მწვერვალებთან ერთად, მონბლანიც დალაშქრეს.

შარშანდელი წლის დასასრულს ქართველ მთამსვლელებს საშუალება ჰქონდათ საფრანგეთში გამგზავრებულიყვნენ და მონბლანზეც ასულიყვნენ, მაგრამ ცუდი ორგანიზაციის გამო ეს საქმე ჩაიშალა.

...ამ ზაფხულის მიწურულს „ალპინიზმის დედაქალაქში" უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. იქ შეკრებილებმა მსოფლიო ალპინიზმის 200 წლისთავი იზეიმეს, მაგრამ ის დღესასწაული სევდანარევი იყო — მონბლანზე, აგვისტოს პირველ რიცხვებში, 16 კაცი დაიღუპა.

მონბლანი გვაფრთხილებს, რომ იგი სხვა მწვერვალებთან ერთად ძველებურად მრისხანე და გოროზია.

**ავთანდილ გურასაშვილი.**



1964 წელი. ქართველ მთამსვლელებს მონბლანამდე, როგორც იტყვიან, ერთი ხელის გაწვდენაღა დარჩათ.

## დღეს ტელეეკრანზე

**დღეს** საკავშირო ტელევიზია გადასცემს საფეხბურთო მიმოხილვის წლევანდელ ბოლო გამოშვებას. ეს მეტად საინტერესო გადაცემაა, ვინაიდან იგი გაგრძელდება არა 30 წუთს, არამედ ერთ საათს და, გარდა ამისა, გადაცემა პირდაპირი იქნება, ე. ი. სატელევიზიო სტუდიაში დადგამენ ტელეფონებს და ფეხბურთის მოყვარულებს საშუალება ექნებათ უშუალოდ დაუკავშირდნენ საფეხბურთო მიმოხილვის მონაწილეებს: სსრ კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს უფროსს ვ. **კოლოსკოვს**, სსრ კავშირის ნაკრებისა და კიევის „დინამოს" უფროს მწვრთნელს ვ. **ლობანოვსკის**, მოსკოვის „სპარტაკის" გუნდის უფროსს ნ. **სტაროსტინს**, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს **ს. შატალინს**. სხვათა შორის, ს. შატალინმა უნდა დაიცვას ფეხბურთის მოყვარულთა საერთო შეხედულებანი და პოზიციები.

რა თქმა უნდა, ერთი საათის განმავლობაში, ყველა ტელემაყურებლის შეკითხვაზე პასუხს ვერ გასცემენ, მაგრამ მნიშვნელოვანი, სადისკუსიო ხასიათის, მაყურებელთა კოლექტიური აზრის გამომხატველ შეკითხვებს ამ საფეხბურთო გადაცემაში დიდი ყურადღება დაეთმობა.

1986 წლის ბოლო **„საფეხბურთო გადაცემა" დაიწყება 24 საათზე** თბილისის დროით, ტელეფონის ნომრებს ტელევიზია ეკრანზე გამოაქვეყნებს გადაცემის დაწყების წინ.

## სოხუმის „დინამო" — ეთიოპიაში

**დასრულდა სოხუმის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის ტურნე სოციალისტურ ეთიოპიაში. სოხუმელებმა პირველი ორი მატჩი ადის-აბებაში გამართეს ადგილობრივ გუნდებთან „ბუნა"-სთან და „იტკობა"-სთან. ორივე შეხვედრა დასრულდა ფრედ — 1:1. ქ. ჯიმას „მედხინ"-თან შეხვედრაში გამარჯვეს მასპინძლებმა — 1:0.**

### უვე ზეელერი 50 წლისაა

ჰამბურგში საზეიმოდ აღნიშნეს გამოჩენილი ფეხბურთელის უვე ზეელერის დაბადებიდან 50 წლისთავი. ზეელერმა „ჰამბურგერ შპორტფერაინის" შემადგენლობაში 800-ზე მეტი მატჩი ჩაატარა, ეროვნულ ნაკრებში 72-ჯერ ითამაშა. მის მიერ კლუბში და ნაკრებში გატანილი გოლების რიცხვმა ათასს გადააჭარბა. უვე ზეელერმა, რომელიც მსოფლიოს ოთხ ჩემპიონატში მონაწილეობდა (1958, 1962, 1966, 1970 წლებში), გფრ-ში პირველმა მიიღო წოდება „ეროვნული ნაკრების საპატიო წევრი".

რედაქტორის მოადგილე
**თ. გაჩეჩილაძე.**

## თბილისის „დინამოს" სპორტკომბინატი

აცხადებს მიღებას ჯანმრთელობის ჯგუფებში:

**ძიუდო** (10 წლისა და უფროსი ასაკი) გოგონებისათვის, **ძალისმიერი ათლეტური** მომზადება (ჭაბუკებისათვის და ვაჟებისათვის).

მეცადინეობა ძიუდოში იწარმოებს ყოველდღე 11-დან 13 საათამდე; ძალისმიერ ათლეტურ მომზადებაში ყოველდღე 12-დან 15 საათამდე (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 19 საათიდან).

ვარჯიშები ჩატარდება გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით.

ცნობებისათვის მიმართეთ: „დინამო", სპორტკომბინატი, აკ. წერეთლის გამზ. № 2, ტელ. 95-03-76.

# 11 ფინალისტი

**ამიერიდან კლასიკოსთა საკავშირო ჩემპიონატი ახლებურად ჩატარდება. ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლებას ის სპორტსმენები მიიღებენ, რომლებიც ზონალურ (სულ 7 ზონაა) პირად შეჯიბრებაში I-III ადგილებს დაიკავებენ.**

ახლახან ლენინაკანში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის ზონალური პირველობა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოჭიდავეთა მონაწილეობით. თითოეულმა რესპუბლიკამ 30-30 სპორტსმენი გამოიყვანა. ფინალის საგზურს დაეუფლა 11 ქართველი ფალავანი, რომლებიც პრიზიორთა შორის მოხვდნენ. პირველ ადგილებზე გავიდნენ ჯემალ ბაკურიძე (74 კგ) და გურამ გედეხაური (100), მეორეზე — ზაურ ივანაშვილი (90 კგ), ნუგზარ ჩანჩიბაძე (100 კგ) და ვასილ ქარსელაძე (130 კგ), მესამეზე — ზაზა ჩაკვეტაძე (52 კგ), ალექსანდრე ახობაძე (57 კგ), ბეგი დარჩია (82 კგ), თენგიზ თედორაძე (90 კგ), ვახტანგ დოგუზაშვილი (100 კგ) და დავით ისაკაძე (130 კგ).

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 07795